საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 14054/01
29/12/2021

14054-01-2-202112292225

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 30 ნოემბრის N21416 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი მაისის მიმდებარედ, მდ. ცხენისწყლის ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული სამინისტროს 2021 წლის 7 ოქტომბრის N10511/01 წერილში მითითებული საკითხები, მათ შორის:

- საკვლევ უბანზე მდინარე ცხენისწყლის საანგარიშო დონეების დადგენის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მდინარე რიონის გავლენა. წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „არ არსებობს მონაცემები რიონში წყლის დონის შესახებ, რაც მხედველობაში შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული მდინარე ცხენისწყლის ჰიდრავლიკური გათვლებისთვის“, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ მოხდა შესაბამისი გაანგარიშება. გაცნობებთ, რომ საჭირო საძიებო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს მდინარის დატბორვის დონეები საქართველოს ნებისმიერ მდინარეზე, ნებისმიერ ადგილზე. ამასთან, განცხადებაში განხილულია მდ. რიოზე ადიდებისა და ცხენისწყლისკენ უკუშემოდინების საკითხი. გაცნობებთ, რომ სამინისტროს N10511/01 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა არა მდ. რიონის უკუშემოდინებას, არამედ ორივე მდინარეზე წყლადიდობის თანხვედრის დროს მდ. ცხენისწყლის შეტბორვის ხარისხს. შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პროგრამულად გაანგარიშდა წყლის ნაკადის ის საანგარიშო მოცულობა, რაც მდინარის კალაპოტს პირთამდე აავსებდა და ის განისაზღვრა Q = 700 $მ^3$-ის ტოლად.“ შესაბამისად, დოკუმენტაციაში საანგარიშო ხარჯად მიიღება 700 $მ^3$/წმ (როცა გამოთვლებით 1% უზრუნველყოფის წყლის ხარჯი შეადგენს 1335 $მ^3$/წმ), იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ამ დროს

ხდება კალაპოტის სრული კალაპოტის ავსება, რაც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ, კალაპოტის გამტარუნარიანობა არ არის განმსაზღვრელი დამცავი ნაგებობის პროექტირების დროს წყლის ხარჯის სიდიდის დასადგენად. საპროექტო ნაგებობა გაანგარიშებული უნდა იყოს საქართველოში აპრობირებული/მოქმედი წყლის ხარჯის განსაზღვრის მეთოდით, რომლის მიხედვითაც საანგარიშო ხარჯი - 1335 $მ^3$/წმ ტოლია;

- ნაპირსამაგრი ნაგებობა გათვლილი უნდა იყოს ნორმებით დადგენილი წყლის საანგარიშო ხარჯის შესაბამისი დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეების მიხედვით;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „პროექტის განხორციელების მიზნით საჭირო იქნება ამ ჰაბიტატში წარმოდგენილი რამდენიმე ათეული ხე-მცენარის გარემოდან ამოღება, რათა შეუფერხებლად განხორციელდეს სანაპირო ზოლში ნაპირდამცავი კონსტრუქციების მოწყობა," თუმცა არ ჩანს მოსაჭრელი ხეების რაოდენობა და მოცულობა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში ფაუნის შესახებ მოცემული ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობა ლიტერატურულ მასალებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დოკუმენტში აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებით წავზე) და მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე